სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული
სამუშაოს წლიური ანგარიში

2018 წელი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ – ავტორიზებული სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე.

ცენტრის მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ითვალისწინებს.

ამ მიზნების მისაღწევად, კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ტრეინინგ-კურსები

კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებები განსაზღვრულია კომპიუტინგი/ინჟინერიის, ბიზნესის ადმინისტრაციის, ავტოტექმომსახურების, სამკერვალო დიზაინის და სხვა მიმართულებებით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა უფლებამოსილება 100% სახელმწიფო დაფინანსებით განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი 9 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- **ბუღალტრული აღრიცხვა, (საფეხური V);**
- **ვებპროგრამისტი, (საფეხური V);**
- **ინფორმაციის ტექნოლოგია, (საფეხური III);**
- **კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, (საფეხური V);**
- **კომპიუტერული ქსელები და სისტემები, (საფეხური IV);**
- **საოფისე საქმე, (საფეხური IV);**
- **საფინანსო სერვისები, (საფეხური III);**
- **საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, (საფეხური III);**
- **სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), (საფეხური IV).**

კოლეჯში ასევე ისწავლება შემდეგი სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ-კურსები):

- ფულადი ნიშნების ექსპერტიზა;
- ბანკის მოსამზადებელი კურსი და ALTA;
- სალარო ოპერაციების მართვა;
- მოლარე;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- ბუღალტერია (ბუღალტერ-ტექნიკოსი);
- საბუღალტრო პროგრამა ORIS;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი;
- მეწარმეობა;
- ამზომველ-გეოდეზისტი;
- ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
- ძრავის შემკეთებელი;
- სავალი ნაწილის ტექნიკოსი;
- მართვის მოწმობა;
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- ინფორმაციის ტექნოლოგია (კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია);
- ინფორმაციის ტექნოლოგია (კომპიუტერის პროგრამების შესწავლა);
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- კომპიუტერული გრაფიკა (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება);
- ოფისის მენეჯერი;
- სამკერვალო საქმის ადმინისტრირება;
- ინგლისური ენა;
- გერმანული ენა;
- კომუნიკაცია (ზოგადი მოდული);
- საქმიან ურთიერთობათა კულტურა.

არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიულ პედაგოგებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სსსმ პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. ცენტრი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით, არსებობს თანამედროვე სალექციო აუდიტორიები,

მუდმივად ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა შესაბამისი სსსმ პირებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები შესაბამის კომპანიებთან. კოლეჯში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი.

სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და სილაბუსების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

კოლეჯში ჩარიცხული სსსმ და შშმ სტუდენტების რაოდენობა და მათი საჭიროებები

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2018 წელს კოლეჯი დაასრულა და შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღო შემდეგმა 5 სსსმ პროფესულმა სტუდენტმა:

- თეიმურაზ ჯანელიძე - N158 სასწავლო ჯგუფი, „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“;
- ნანა სარიშვილი - N157 სასწავლო ჯგუფი, „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“;
- მარიამი კაჭარავა - N157 სასწავლო ჯგუფი, „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“;
- დავით მირიანაშვილი - N162 სასწავლო ჯგუფი, „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“;
- შალვა კვარაცხელია - N162 სასწავლო ჯგუფი, „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“.

2018 წელს 1/3 საკონტაქტო საათების დასაშვები რაოდენობის გადაჭარბების გამო პროფესიულ სტუდენტთა სახელობის სიიდან ამორიცხულ იქნა შემდეგი 3 სსსმ სტუდენტი:

- ხატია ორველაშვილი - N149 სასწავლო ჯგუფი, „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“;
- მარიამ ესტატიშვილი - N173 სასწავლო ჯგუფი, „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“;
- თემურ ბეპიევი - N168 სასწავლო ჯგუფი, „ინფორმაციის ტექნოლოგია“.

2018 წლის გაზაფხულის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების საბაზისო საფეხურზე ჩარიცხულ იქნა 3 სსსმ პროფესიული სტუდენტი:

- ვახტანგ ზანგალაძე - N179 სასწავლო ჯგუფი, „ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- გიორგი კობალავა - N179 სასწავლო ჯგუფი, „ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- თომა წიკლაური - N180 სასწავლო ჯგუფი, „ბუღალტრული აღრიცხვა“.

2018 წლის შემოდგომის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების საბაზისო საფეხურებზე ჩარიცხულ იქნა 8 სსსმ პროფესიული სტუდენტი:

- სალომე გელაშვილი - N182 სასწავლო ჯგუფი, „ბუღალტრული აღრიცხვა“, V საფეხური;
- ვახტანგ ჭყოიძე - N185 სასწავლო ჯგუფი, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, III საფეხური;
- ვლადიმერ სარკიაშვილი - N187 სასწავლო ჯგუფი, „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“, IV საფეხური;
- ხატია ბერიანიძე - N190 სასწავლო ჯგუფი, „საფინანსო სერვისები“, III საფეხური;
- გიორგი კუკულაძე - N185 სასწავლო ჯგუფი, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, III საფეხური;
- ზურაბ ცხენოსანიძე - N186 სასწავლო ჯგუფი, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, III საფეხური;
- ზურაბ გელაშვილი - N186 სასწავლო ჯგუფი, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, III საფეხური;
- გიორგი გაგნიძე - N188 სასწავლო ჯგუფი, „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“, IV საფეხური.

2018 წელს მიღებულ სსსმ სტუდენტებთან ერთად კოლეჯში სწავლას აგრძელებს 2017 წლის საშემოდგომო მიღებიდან 2 სსსმ პროფესიული სტუდენტი:

- მარიამ ბაკიძე - N175 სასწავლო ჯგუფი, „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“, IV საფეხური;
- ნატალია კარამოვა - N175 სასწავლო ჯგუფი, „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“, IV საფეხური,

კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა სსსმ პირებისთვის საუკეთესო პროფესიული განათლების მისაღებად. ზემოხსენებული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის დროს გაწეული მხარდაჭერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სსსმ სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, 2015 წლიდან სამინისტროსთან შეთანხმებით, კოლეჯში დღემდე დასაქმებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

მიუხედავად ამისა, კოლეჯში არსებობს დამატებით ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირის ასისტენტის საჭიროება.

სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის დროს გაწეული მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება:

- პროფესიული განათლების მიღების მსურველ შშმ და სსსმ პირთა კონსულტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და კონსულტაციის გაწევა;
- სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგად სწავლების ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი დანერგვის ხელშეწყობა.

სსსმ პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით რეგულარულად ხდება დაკვირვება სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგად სწავლების ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი დანერგვის ხელშეწყობას. ასევე ხორციელდება საკონსულტაციო შეხვედრები სსსმ პროფესიული სტუდენტების მშობლებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებას ისინი იღებენ ინფორმაციას პროფესიული ინკლუზიური განათლების შესახებ. განიხილება სწავლებასთან მიმართებაში სსსმ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და ინდივიდუალური თავისებურებანი, ლექციებზე დასწრებისა და მოტივაციის ამაღლების, ასევე დაუდასტურებელი მოდულების გავლისა და სასწავლო განრიგის დროში გადანაწილების საკითხები. ვუპასუხე მათ მიერ დასმულ შეკითხვებს და დავურიგე საინფორმაციო სახის ინფორმაცია ბეჭდური სახით. მშობელთა ინტერესი წარდგენილი ინფორმაციის მიმართ იძლევა საბაბს, რომ აღნიშნული სახის შეხვედრები გაგრძელდეს მომავალშიც.

ჩართულობა პროფესიული მომზადება-გადამზადების აქტივობებში

2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია სისტემატიურად ესწრებოდა ინკლუზიის საკითხებზე ჩატარებულ ტრენინგებს, სადაც ისინი

გაეცვნენ სსსმ და შშმ პირთა სწავლებისა და შეფასების ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის, ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში.

2018 წლის 24 სექტემბერს ქვეპროგრამის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე“ ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილ სსსმ პირების მიერ ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ანალიზი და პროფესიების გზამკვლევის შემუშავების და შემდგომი პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით, ექსპერტებმა მაია ბაგრატიონი-გრუზინსკიმ და გელა ლომიაშვილმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს თბილისის პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან, ასისტენტებთან და კარიერის დაგეგმვის მენეჯერებთან, რომელს დროსაც წარმოდგენილ იქნა პროფესიის ანალიზისთვის შემუშავებული ინსტრუმენტი-კითხვარი და პროფესიული სასწავლებლების როლი დაგეგმილ პროცესში.

სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, ვინაიდან სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. ამავდროულად, ყველას აქვს მზაობა მიიღოს პროფესიული განათლება.

გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატიურად იმართება შეხვედრები თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ კოლეჯს სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.

სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები და დასაქმებულ პირთა სტატისტიკა

2018 წლის 27 ივნისს კოლეჯში გაიმართა კომპანია „თეგეტა მოტორსი“-ს ვაკანსიების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ ტრანსპორტის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მათ შორის „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“, „ძრავის შემკეთებელი“, „ავტომობილის დიაგნოსტიკოსი“, „სავალი ნაწილის ტექნიკოსი“. შეხვედრას ესწრებოდნენ ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიული პროგრამებზე ჩარიცხული სსსმ სტუდენტებიც.

2018 წლის 4 დეკემბერს კოლეჯმა უმასპინძლა საგანმანათლებლო პორტალ EDU.ARIS.GE-ის პრეზენტაციას. პრეზენტაციის თემა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გაზრდას და პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების გამარტივებას ეხებოდა. შეხვედრაზე ასევე გაიმართა კოლეჯის შესახებ გადაღებული ვიდეოკლიპის პრეზენტაცია. აღნიშნულ პრეზენტაციას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და სხვადასხვა სპეციალობის (მათ შორის სსსმ) პროფესიული სტუდენტები ესწრებოდნენ. ისინი პროექტით ძალიან დაინტერესდნენ, მათი ნაწილი ადგილზევე დაჩექინდა.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან სსსმ სტუდენტების საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების კუთხით სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, 2018 წელს კურსდამთავრებული სსსმ პროფესიული სტუდენტებიდან დასაქმებულნი არიან:

- გოდერძი გოგოლაძე - ორგანიზაციაში „World vision Georgia“ ;
- სოლომონ თოფჩიშვილი - „სახალხო დამცველის აპარატი“; ოფის-მენეჯერის პოზიციაზე;
- ნიკო გათიკაშვილი - დასუფთავების სამსახური;
- ვახტანგ გუნიავა - ავტოსერვისცენტრი+“-ში ავტომობილის შემკეთებლის პოზიციაზე;
- თორნიკე სეფიაშვილი - კომპანია „ვენდის“;
- საბა გუბელაძე - ილიაუნი „ბავშვთა განვითარების კლინიკა“.